ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **17-01171671690**
თარიღი: **16.06.2017**

ადრესატი:
ირაკლი ასათიანი
პირადი ნომერი: 01007013465
მისამართი: თბილისი აკ.წერეთლის გამზ. N 55 კორ. 1 ბ. 64

ბატონო ირაკლი,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში შემოსული თქვენი N19/01171103045-17 წერილის პასუხად სამსახური გაძლევთ რეკომენდაციას ,,პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25^1-ე მუხლის შესაბამისად ამავე კოდექსის 45-ე მუხლით გათვალიწინებული სამართალდარღვევის თავიდან ასაცილებლად 120 კალენდარული დღის ვადაში გამოასწოროთ (წარმოადგინოთ კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და ახალი მშენებობის ნებართვა) 22.09.2016წ. N2851422 (AR1437404) ბრძანებით შეთანხმებული პროექტიდან გადახვევით ქ. თბილისში, დასახლება დიდი დიღომი, III მ/რ, კორპუსი N19-ის მიმდებარედ (საკ. კოდი N01.10.08.005.111) თქვენი დაკვეთით მიმდინარე მშენებლობაზე შემდეგი დარღვევის გათვალიწინებით:

,,1-5" ფასადი: ,,3-4" მონაკვეთში ,,4" ღერძთან აივნებზე დამატებით მოწყობილია კაპიტალური კედელი.

გეგმების მიხედვით: -2,800 ნიშნულზე ტამბურის და ლიფტის კედლები მონოლითურის ნაცვლად მოწყობილია შემავსებელი ბლოკით. ავტოსადგომში ,,3-4" და ,,გ-ბ" მონაკვეთებს შორის დამატებით მოწყობილია რიგელი.

,,3-4", ,,4-5" , ,,5-4" და ,,4-3" მონაკვეთებში შემცირებულია ფანჯრების სიმაღლე.

,,5" ღერძებს გარეთ შეცვლილია ვიტრაჟების ნახატი.

დამატებით განგიმარტავთ, რომ ,,პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25^1-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად ,,რეკომენდაციის შესრულების ვადაში დამკვეთის მიმართ სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოება არ დაიწყება".

პატივისცემით,

ზედამხედველობის საქალაქო სამსახური -
სამსახურის უფროსის მოადგილე

გიორგი გეჯაძე